საქართველოს პედიატრ-ჰემატოლოგთა და ონკო-ჰემატოლოგთა კავშირი
GEORGIAN ASSOCIATION OF CHILD HEMATOLOGISTS AND ONCO-HEMATOLOGISTS

23.03.2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
პროფესიული განვითარების საბჭოს

საქართველოს პედიატრ-ჰემატოლოგთა და ონკო-ჰემატოლოგთა კავშირი გაეცნო "დასხივებული (ირადირებული) სისხლის კომპონენტების გამოყენების აუცილებლობა, პრევენციული ღონისძიებები და მათი მართვა" -ის პროტოკოლს და თვლის, რომ უკანასკნელ წლებში ლეიკემიებისა და ლიმფომების, ასევე მძიმე თანდაყოლილი ანემიების მკურნალობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია სისხლის კომპონენტების ხარისხის გაუმჯობესება.

სწორედ ამ მიზნით 2017 წლიდან მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკოჰემატოლოგიურ დეპარტამენტში, ჩეხეთის განვითარებისის ფონდის მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა თრომბოკონცეტრატის გამოყენება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მწვავე ლეიკემიების განსაკუთრებით მიელოიდური ლეიკემიების მკურნალობის დედებითი გამოსავალი.

უკანასკნელ წლებში გაიზრა იმ პაციენტების რიცხვი, რომლებსაც ჩაუტარდათ ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ირადირებული (დასხივებული) სისხლის კომპონენტების გამოყენება. მიგვაჩნია, რომ ირადირებული სისხლის კომპონენტების გამოყენება ერთერთი მოთხოვნაა იმისთვის, რომ საქართველოში დაიწყოს ბავშვთა ასაკში ძვლისს ტვინის ტრანსპლანტაცია, სისხლის კომპონენტებზე ხელმისაწვდომობა არის მანდატორული მოთხოვნა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში ტარდება მოზრდილთ ასაკში აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია და ირადიაციული სისხლის კომპონენტები ამ პაციენტებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რათა თავიდან იყოს ისეთი მძიმე გართულების განვითარების რისკი, როგორიცაა ტრანსფუზია - ასოცირებული „ტრანსპლანტატი მასპინძლის წინააღმდეგ" - (TA-GVHD) - დაავადების განვითარება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე რეკომენდაციას ვუწევთ "დასხივებული (ირადირებული) სისხლის კომპონენტების გამოყენების აუცილებლობა, პრევენციული ღონისძიებები და მათი მართვა" პროტოკოლის დანერგვას.

ასოციაციის პრეზიდენტი
ვიცე პრეზიდენტი

პროფ. ა. შენგელაია
მედ. დოქტ. თ. ჯავახიშვილი

თბილისი, 380059, ლიუბლიანას ქ. 2/6. ტელ/ფაქსი 599 563917
2/6 Ljubljana Street, 380059, Tblilisi Georgia. Tel/Fax 995 32 5238

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს

გავეცანი კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციას (გაიდლაინს):"დასხივებული (ირადირებული) სისხლის კომპონენტების გამოყენების აუცილებლობა, პრევენციული ღონისძიებები და მათი მართვა."

მედიცინის განვითარებასთან, წინსვლასთან ერთად შეიცვალა ტრანსფუზიული თერაპიის მიმართ მოთხოვნები, გაჩნდა თანამედროვე გაიდლაინები, ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის მიღწევებმა და მრავალწლიანმა გამოცდილებამ, დაადასტურა კომპონენტური თერაპიის მაღალი ხარისხის აუცილებლობა, რაც თავისთავად გულისხმობს ირადირებული (დასხივებული) სისხლის კომპონენტების გამოყენებას.
აღნიშნული სერვისის არსებობა საშუალებას იძლევა პაციენტს შევთავაზოთ სრულყოფილი მკურნალობა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველჰყოფს ევროსტანდარტების შესაბამის მომსახურებას და პაციენტს არიდებს ისეთი მძიმე გართულების განვითარების რისკს, როგორიცაა ტრანსფუზია - ასოცირებული „ტრანსპლანტატი მასპინძლის წინააღმდეგ" - (TA-GVHD) - დაავადების განვითარება; TA-GvHD - ტრანსფუზია ასოცირებული ეს დაავადება არის ძალიან იშვიათი, თუმცა ფატალური გართულება, რომელიც თან ახლავს ლიმფოციტების შემცველი სისხლის კომპონენტების ტრანსფუზიას.ინდივიდუალური ტრანსფუზიის რისკი დამოკიდებულია სიცოცხლისუნარიანი დაბინძურებული ლიმფოციტების რაოდენობაზე, რეციპიენტის იმუნური სისტემის ათვისების უნარზე, ახალი უჯრედების წარმოქმნის უნარზე და დონორისა და პაციენტის მუნოლოგიური შეუსაბამობის (HLA) ხარისხზე.
ტრანსფუზირებული ლიმფოციტების მინიმალური რაოდენობა, რაც აუცილებელია GvHD-ს რეაქციის პროვოცირებისთვის უცნობია და შესაძლებელია შეიცვალოს კლინიკური მონაცემებიდან გამომდინარე.

საქართველოს ახალგაზრდა ონკოლოგთა ჯგუფი დადებითად აფასებს წარმოდგენილ - კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციას (გაიდლაინს) და რეკომენდაციას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

პატივისცემით, ივანე კილაძე

საქართველოს ახალგაზრდა ონკოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი

საქართველოს ახალგაზრდა ონკოლოგთა ჯგუფი.

Georgian Group of Young Oncologists
Tel: (+995)597 550 140 e-mail: gyogroup@gmail.ge